დროის ტყვეობა თუ ზედროულობის თავისუფლება?

ტემპორალური ალტერნატივა მ. ჯავახიშვილის რომანში „ჯაყოს ხიზნები“

ირმა რატიანი

„რაჟეთუ ვხედავთ აწ, ვითარცა სარკითა და სახითა, ხოლო მაშინ პირსა პირისპირ. აწ ვეწყი მცირედ, ხოლო შერმე ვიცნა, ვითარცა შეეცეცნე“.

(პავლე მოციქული, 1კორ. თ.13,12)

რა არის „აწ“ და რა არის „შერმე“? სად არის „აწ“ და სად არის „შერმე“? თუ „აწ“ განცალკევებულია „აქ“, ხოლო „შერმე“ „იქ“, მაშ ვინ არის სუბიექტი, რომელიც არსებობს „აწ“ და „აქ“ კოორდინატებით შემოზღუდულ სივრცეში და შეშეცნების სასაზღვრო ზოლით ეშიჯნება „შერმე“ და „იქ“ კოორდინტებით აღნიშნულ სივრცეს? ვინ არის იგი? ინფანტილური ინდივიდი, ჯიუტად რომ გაშყარებულა მისთვის განკუთვნილი არსებობის ჩარჩოებში თუ ძიებით შეპერიობილი პომო საპიენსი, რომელიც ცხადად გრძნობს ტრანსფორმაციის აუცილებლობას და ცდილობს, თავი დააღწიოს რეალობის მყიფე პარამეტრებს. ერთი ტემპორალურად რიგიდულია, სუბიექტი, რომლისთვისაც „აწ-აქ“ რეალობა მო-ცემული პირობას წარმოადგენს, მასზე მარჯვედ ძორგება კი - არსებობის მიზანს, მეორე ტემპორალურად ფლექსიური, სუბიექტი, რომელიც ნებსით თუ უნებლიეთ არღვევს რეალური დროის სტანდარტულ რიტმს და შეგნებულად თუ ინერციით მიიწევს შემეცნების სასაზღვრო ზოლისაკენ, რომლის მიღმაც „შერმე-იქ“ ოდუპალი განფენილობაა გადაშლილი. მათი ძირიგება შეუძლებელია: პირველი დროის რეალური მოდელის მცველი და ქომაგია, მეორე - მსხვერპლი და ოპონენტი, შესაბამისად, ერთი დიქტატორია, მეორე - ტყვე. როგორი იქნება კვანძის გახსნა? პეკეს კი ამ ბრძოლას გამარჯვებული, ბრძოლას, რომელიც დროის სახელით წარმოებს და რომლის კვინტესენციასაც „აწ-აქ“? / „შერმე-იქ“ კონცეპტუალური ოპოზიცია წარმოადგენს?

ერთი რამ დანამდვილებით იცოდა მ. ჯავახიშვილმა: დრო ჩერდება. 1899 წლის, დეკემბრის ღამეს, თავისსავე სახლში დახოცეს მისი და და დედა. ამ ტრაგედიამ ძირეულად შეცვალა ახალგაზრდა კაცის არა მხოლოდ ცხოვრების, არამედ - აზროვნების წესიც: „მის სულში ისეთი ძვრები მოხდა, რომელმაც ძირფესვიანად გარდაქმნა მისი ცხოვრება. მას აღარ შეეძლო ლაღად ეცხოვრა და ისეთივე ხალისით დამტკბარიყო ცხოვრებით, როგორც აქამდე იყო—

ის უკვე მოტეხილი ახალგაზრდა იყო, რომელმაც დიდი სულიერი ტკივილი გადატანა. მრავალი წლის შემდეგ ის ჩაწერს თავის უბის წიგნაკში: „ტირილის სურათი კარგად ვერ ამიწერია, რადგან მე თვითონ თითქმის არასოდეს არ მიტირნია. მაგრამ ბევრჯერ კაეშანი ცრემლ'ხე უფრო მწვავედ მაგრძნობია" (5,94).

კაეშანი ანუ სევდა ადამიანის უმაღლესი ბუნების გამოვლინებაა: „სევდა ზეკეთ ასწრაფვას, - წერდა ნ. ბერდიაევი, - სევდაში არის რაღაც ორაზროვნად ტრანსცენდენტური. პირიქით, განაცდის საკუთარ თავს, როგორც ტრანსცენდენტურს, გაუცხოებულს სამყაროსთან, და განაცდის უფსკრულს, რომელიც აშორებს მას უმაღლესი, სხვა მისთვის ესოდენ შეუმჩნეველი სამყაროსაგან" (7,31). ტრაგედიიდან წამოზიდულმა კაეშანმა პირველად აგრძნობინა მ. ჯავახიშვილს გეზი იმ განხეთქილებისა, რომელიც არსებულ, მოცემულ სინამდვილესა და მის პიროვნულ მისწრაფებებს შორის სუფევდა. განაცდევინა ის, რასაც „საკუთარი სუბიექტურობის ეგზალტაციას", ვუწოდებთ და რაც მოგვიანებით „ჯაყოს ხიზნების" ურიულეს პრობლემატიკაში გადაიზარდა. ის ველარაფრით დაეთანხმებოდა აზრს, რომ რელეურად მყლინი დრო არის უსასრულო და სწორხაზოვანი, ვინაიდან გარკვევით შეამჩნია: ობიექტური დროის შეუქცევადი მდინარების ნიშანი მისი გარდაუვალი სასრულობაა, სიკვდილი ქრონოსის განაჩენია.

მაშ, როგორი შეიძლება იყოს მიმართება სიკვდილთან? სიკვდილი ან მარტივად უსვამს წერტილს სიცოცხლეს და ადამიანს აქცევს არაფრისმოქმედ არარად, ანაც აღავსებს გონს სრულყოფილი ცოდნით და გზას უხსნის სუბიექტს უმაღლესი შემეცნებისკენ. პირველ შემთხვევაში, სიკვდილი კიდევ ერთი ჩაკარგული კენჭია ობიექტური დროის თავაწყვეტილ მდინარებაში. მეორე შემთხვევაში - დროის ზნეობრივი სახომი, რომელიც ობიექტურ დროს ხდის აღქმადს, ზედროულ მარადისობას კი - მისაწვდომს.

ეუფლობთ, სწორედ ეს გახლავთ „ჯაყოს ხიზნების" მთავარი თემა. პოლიტიკური თუ სოციალური მოტივები ისევე წარმოადგენს ამ რომანის ძარითად სათქმელს, როგორც ტუბერკულოზით დაავადებულთა სანატორიუმის აღწერა „ჯადოსნური მთის" ავტორისათვის, ან - სვენის ამბავი მარსელ პროუსტისთვის. „ჯაყოს ხიზნების" მთავარი გმირია დრო, დრო, რომელთან პირისპირ შეჯახებაც კარდინალურად განსაზღვრავს პერსონაჟთა ბედ-იღბალს, არა მხოლოდ მათ ცხოვრებასა და ყოფას, არამედ - აღსასრულსა და განაჩენს.

ვინ არის თეიმურაზ ხვიტისთავი? ინფორმალური ინდივიდი თუ ძალით შეპყრობილი პომო საპიენსი? ტემპორალურად რიგდადგული თუ ტემპორალურად ფლექსიური სუბიექტი? ობიექტურ დროს მიჯაჭვული დიქტატორი თუ მისი ტყვე? სიკვდილის ბნელი სამიზნე თუ სარტრისეული „ვინების სინათლით" გასხივოსნებული მეამბოხე?

საქმეც ის გახლავთ, რომ თეიმურაზ ხვიტისთავი ყველა ამ კომპონენტის არათანაბარი ნაზავია, რომელი ლიტერატურული ალბრიდი, რომლის სათანადოდ გამოძერწვასა და ზნეობრივად გამოხვეწას ეძღვნება თითქმის ორასგვერდიანი რომანი.

* *

თეიმურაზ ხვიტისთავს იმთავითვე გამოარჩევს რამდენიმე სპეციფიკური ნიშანთვისება: პირველ ყოვლისა, იგი „ხვიტისთავია", სადაც ხაზგასმული და აქცენტირებული „თავი" შეიძლება გავიაზროთ, ერთის მხრივ, როგორც მეთაური და მეორეს მხრივ, როგორც საწყისი, ანუ დასაბამი. „თავი"-ს, როგორც საწყისის გააზრება გასაგებს ხდის პერსონაჟის კიდევ ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს: თეიმურაზი ნაბატონევი, „ნაკაცარი, ნათავადარი,

ნაბიჯულია ნამოღვაწარი და ნაგულისხმია" (4.238). პრეფიქსი „ნა" და შესაბამისი სუფიქსები - „არ" და „ული" მიუთითებენ ფაქტების ყოფილობას. ანუ, თუ საწინააღმდეგო მიმართულებით ვიმსჯელებთ, თეიმურაზი ერთ დროს ყოფილა კაცი, ბატონი, თავადი, შემამულე, მოღვაწე და ვაჟი, დღეს კი - ალარ არის. ამ სურათს ერთგვარად სრულყოფს ავტორის მინიშნება: თეიმურაზი ხეკისთავთა გვარის უკანასკნელი ჩამომავალია. გამომდინარე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ: თეიმურაზ ხეკისთავი დროის ნაშნით აღბეჭდილი პერსონაჟია, პერსონაჟი, რომელიც თავის თავში იტევს საწყისს, განვრძობადობას და დასასრულს. თეიმურაზ ხეკისთავის პერსონაჟში ამთავითვე წარმოდგენილი დროის ყველა სპექტრი, ანუ, თეიმურაზი დროით განსაზღვრული, დროის მარწუხებში მოქცეული, დროში გამოკეტილი ინდივიდია. ავტორის აზოცანა ნათელია: თეიმურაზი ან უნდა დაპყვეს დროის დიქტატს, ანაც — მძლავრად ჩაებღაუქოს თავის თავშივე გენეტიკურად კოდირებულ ფასეულობებს და, რადაც არ უნდა დაუჯდეს, გადალახოს შემეცნების სასაზღვრო ხაზი. მაგრამ, თვითშემეცნება მოვლენათა განვითარების დამამთავრებელი ეტაპია, ასე ვთქვათ, ბოლო ხღვარი, რომელსაც წინ ქარავანად მოუძღვის ტკივილობის, ხსნის ძიების, ჯანყისა და სიკვდილთან შეჯახების ურთულესი ეტაპები.

თეიმურაზ ხეკისთავი დროის ტყვეა, ობიექტური დროისა, რომელსაც გარკვეული რაოდენობრივი და თვისებრივი პარამეტრები განსაზღვრავს. რაოდენობრივი [illegible] რომანში განიცადილი დრო [illegible] თვეს ითვლის, სადაც დაახ[illegible] ... თვე აქტიური ხდომილებების [illegible] რელევანტურია. რაც შეეხება [illegible] დროის თვისებრივ პარამეტრებს, [illegible] დეტერმინირებული [illegible] ფორმითაა გამოხატული. რომანში განცდილ დროს აქვს წარსული, აწყო და მომავალი. წარსულის არსებობასა და პასიურ თანდასწრებას მიუთითებს გაქვავებული ეპითეტები: ნაშინდარი, ნაფუძარი, ნახუცარი, ნაუფლარი, ნამოურავალი. წარსულის ამრდილი გამუდმებით დაეხეტება რომანში და, დროდადრო, თეიმურაზ ხეკისთავის დაკარგული საგვარეულო ნიფთებივით ამუნს თავს. წარსული ლოდსავით აწევს გულზე აწყეს, რომლის ბინადარნიც ცხვრის ფარის ინერციით მიიწევენ მომავლისაკენ. მომავალი კი კოლექტივიზმის კრებითი ნაშნითაა განსაზღვრული: „მრწამს ჩვენი მშრომელი ხალხის ძალა და მისი მომავალი" (4.349). ასეთია სალი აზრი ობიექტური დროის ყველაზე კორექტული სახითი. მაგრამ, „ცხოვრება მაშინ არის ფასეული, როდესაც იგი არ წარმოადგენს რიგითი სულების დროებით თავშესაფარს", - წერდა ჯ. ნაბოკოვი, — „რიდესაც, ადამიანის პირიფნული იდუმალება არ იკარგება მიწიერი ცხოვრების კოლექტიური რღვევის პროცესში, არამედ იქცევა უფრო მეტ ფასეულობად, ვიდრე საუკეთესო ოპტიმისტური ყარაუდია" (10.377). ამდენად, მომავალი, რომელსაც კოლექტიური შეგნება გამოიმუშავებს, ქრონოსის ობიექტურ კანონზომიერებას ემორჩილება და, ცხადია, ვერ დააკმაყოფილებს ქრონოსის ქეშმარიტებაში დაეჭვებული პერსონაჟის ცნობისმოყვარეობას. სწორედ გაურკვეველი მომავლის შეგრძნება გახლავთ დროსთან თეიმურაზ ხეკისთავის კონფლიქტის დასაწყისი: მაღაზიათა დახლებზე დაწყობილი წარსული თეიმურაზის საომავლო ილუზიების დასასრულია. დრო იყოდება: „ერთნი ამ ქვეყნის ასპარეზიდან უკვე მიდიოდნენ და თავიანთ წარსულს პყიდდნენ. ხოლო მეორენი ახალ ქვეყნიდან მოდიოდნენ და თავიანთ მომავალს პყიდულობდნენ. თეიმურაზიც დღითი-დღე პყიდდა

თავის ბედნიერად ოჯახსა და ისტორიას. ღვთისა-ღვე სწყვეტდა მომავლის იმედებს და თავზიანდრული, გულდაწყვეტილი, სულდაწყვარი, ზლაზვნით და ბორძიკით ჩამოდიოდა თავდაღმა ცხოვრების ეკლიან კიბეზე" (4.262). „ბუშინ" - უფუნქციო ღირებულებაა, „ხვალ" - არშემდგარი პერსპექტივა. მაშ, რა არის „ღვეს"? ხევისთავია ბოსტნის კუთხეში ჩადგმული საფრთხობელასავით თეალხვეული დრო, რომელიც ნაქრის ტიკანასავით აბურთავებს თეიმურაზს და გასაქანს არ აძლევს. თეიმურაზ ხევისთავი ოდესღაც აქტიური საზოგადო მოღვაწე, „ულავი მსაჯული და მცოდნე იყო ყველასა და ყველაფრისა", ახლა წარსულდაკარგული და უმოიმავლო, პირისპირ აღმოჩნდა დროის ულმობელ მანქანასთან. მისი გაუმარჯვავი ძრავის ღრიალმა საბოლოოდ დააკარგვინა ხევისთავს რწმენა: „ამ ქვეყანამ და თეიმურაზ ხევისთავმა თანდათან ისე შეიძულეს და შეიზიზღეს ერთმანეთი, როგორც კერძმა მაშამ შეიძულა უძღები შვილი, რომელმაც განუზომელი ურჩობა, უმადურება, კადნიერება და ამპარტავნება გამოიჩინა და საკუთარ უფლებებზე დადგომა და საკუთარი ვ'ხით სიარული გაბედა" (4, 257). თეიმურაზი, რომელსაც „სიცოცხლე კისერზე ისე ჩამოეკიდა, როგორც ღეკვის აერთლებული ღეში" (4.257), მხრებჩაშოყრილი დაეცა დროის დიქტატს და ბრძოლაშიც ნაჩანჩარა ინფანტილიზმის მორევში: „თეიმურაზი თითქოს აღარ იბრძოდა. მოძულებული თავი მოძულებულ ცხოვრების მდინარეს გულგრილად მისცა და საბერ დასასრულის ნატვრით ელოდებოდა" (4.267). დრო დაეპატრონა თეიმურაზს. წარსულში გავლენიანი ხევისთავი, კაცი, ბატონი, ოჯაღი, მეომარი, მოღვაწე და ჯელილი, დროის პატივაცრილ ტუსაღად იქცა. ფუნქციაგაკარგულ ხევისთავად, ნაკაცარად, ნაბატონევად, ნათავადარად, ნამეომულევად, ნამოღვაწარად და ნაფეიქლარად, რომელსაც ბედმა ბერწობა და უშვილობაც დაატეხა თავს და გვარის უკანასკნელი მოტიკანობა დააკისრა. თეიმურაზი დროის სეცრული ცხის ბატონარა, რომელსაც ყველა გასასვლელი დახშული აქვს და მეცხოვნედ და მებეჭედ „ნალირივით თავაგლეჯილი" ჯაყო ჯიკაშვილი მყავს მიჩენილი.

ჯაყო ობიექტური დროის მეფრთეა. დროის ნდობით აღჭურვილი პირი, მისი განმკარგავი და შესაბამისად - ლიტატორი, საყოველთაო თაყვანისცემის ობიექტი. „ქვეყანამ იცის, რომ ჯაყო ჯიკაშვილი ისე დასტრიალებს ჩვენს ლარიბ-ლატაკ გლეხობას, როგორც კარგი მეოჯახე თავის კერას... ვინ მოსთვლის, რამდენი მრუდე საქმე გაუსწორა ჯაყომ ჩვენს სოფელს და რამდენ გაჭირვებულ ქვრივ-ობოლს გაუმართა ხელი. - ქლესაობდა ივანე. - ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამდენი სიკეთის დამთესი ჯაყო არც შემდეგში დაიხვევს უკან და ისევ ძველებურად გაგვიწყოს დახმარება. მაშ გაუმარჯოს ჩვენი სოფლის ახალ პატრონს, ახალ აზნაურს ჯაყო ჯიკაშვილს" (4.294). განსხვავებით თეიმურაზ ხევისთავისაგან, რომელიც „ათიოდე საუკუნის განმავლობაში ბაბბაყარიაში ნაზარდი, ნატიფი, ნაბუშავარი, ნათალი და ლაფერილია" (4.298), ჯაყო ობოლია, „მიუვალ მიებსა და ულრან ტყეში გაზრდილი. იგი ბნელ ხეობიდან გამოვარდნილი ჟელესია, რომელმაც პირველად მხოლოდ ათი წლის წინათ დაინახა კრამიტი და ლანა-ჩანგალი, საათი და სურათი, საყელო და ცხვირსახოცი" (4.299). ჯაყო არის პერსონაჟი არსიდან - ოსური ქუდი, ოსური ჩოხა, ოთარული წინდები, დაბახანური ჩუსტები, ქართული ხმალი და რუსული თოფი ცხადყოფს მის გაურკვეველ, ვაღლეგებილ წარმომავლობას. ჯაყო დროის მიერ ხელოვნურად შექმნილი შარიკოფია, რომელიც ძალლური ერთგულებით ემსახურება თავის მშობელს.

ჯაყოს გარეგნობასა და ქცევა-ჩვეულებებში ძნელი არ არის სატანისეული ნიშნების გამორჩევა, რაც, თავის მხრივ, საცნაურს ხდის თეიმურაზ ხევისთავის პერსონაჟის მითოლოგიურ ასპექტებს და აყალეს მათი დაპირისპირების ჭეშმარიტ არსს. ჯაყოს გარეგნული მონაცემები საკმაოდ ანტიპათიურია: ,,რამდენიმე ნაერილობევით დასერილი თავი და პირსახე ისეთი შავის, ნშირისა და აბურძგნილის ჯაგრით პქონდა შემოსილი, თითქო ჯაყოს ბეჭებზე კუპრში ამოვლებული უზარმაზარი ხლარბი აეოცებულიყოო. შავი ჯაგრის ბუჩქნარი თვალებამდე სწვდებოდა და იმ ჯაგნარიდან მხოლოდ ხარის თვალებს, წან-წამოყრილ ცხენის კბილებსა და გაჭყლეტილ ცხვირს ამოეყოთ თავი. ერთი მტკაველის სიგრძე ულვაშები გადმობრუნებულ ჯამებივით გამოყრილ ლოყებზე გაკვეთილ ეოცხებივით ეყარნენ, ხოლო იმ ჯამებს დინჯად და შედიდურად ლაბბაქების ყურები დასცქეროდნენ'' (4, 234). კუპრი ქართულ ქრისტიანულ წარმოდგენაში ჯოჯოხეთის, ეშმაკის საუცლოს აუცილებელ ატრიბუტად არის მინნეული, რომ აღარაფერი ვთქვათ ისეთ თვალსაჩინო მახასიათებლებზე, როგორიც გახლავთ უკიდურესი მიწიერება, ფერ-ხორციანობა ანუ ხორცის სიუხვე და ჭარბთმიანობა. მაქსიმილიან რუდვინი მიუთითებს: ,,ეშმაკი ძრავალ ფერში შეიძლება მოგვევლინოს, მაგრამ მათ შორის უმთავრესია შავი ფერი. შავი მიუთითებს მის ადგილს ცისქვეშეთში. ხორცის სიმრავლე ხაზს უსვამს ეშმაკის ცოდვიანობას, ჭარბთმიანობა კი - მის ნათესაობას ცხოველურ საწყისთან'' (11,35). ჯაყო ,,კბილმახვილი და დაუნდობელი ნადირია'', ,,ადნიერი და რეკვენი, ხერეკ და მოუხეშავი'', რომელსაც უკიდურესი თვალთმაქცობა და გარდასახვის იშვიათი უნარი ახასიათებს. საშოთხის ბალიდან და პირველცოდვის დღიდან მოკიდებული, ეშმაკი ფლიდობისა და მზაკვრობის განსახოვნებად არის მინნეული, რაც ასახვას პოულობს სახარებისეულ ტექსტებშიც: ,,ის (ეშმაკი - ი.რ.) კაცისმკვლელი იყო თავიდან და ჭეშმარიტებაში ყერ დადგა, რადგან არაა მასში ჭეშმარიტება. როცა სიცრუეს ამბობს, თავისას ამბობს, რადგან ცრუა იგი და სიცრუის მამაა'' (1, იოანე, 8:44). ჯაყო მიზანდასახულად და დაბეჯითებით ატყუებს თეიმურაზს, იქნება ეს წლიური შემოსავალ-გასავლის ანგარიში, მიწების მოსავლიანობისა თუ ცლეხებთან ურთიერთობის საკითხი და პირწმინდად ძარცვავს ე.წ. ბატონს. ჯაყოს კმაყოფილებასა და თვითდაჯერებულობას ანიჭებს თეიმურაზის მოტყუება, წყალება, საკინად აგდება. ჯაყოს მიზანია, სრულად და განუყოფელად დაეპატრონოს თეიმურაზს, ხევისთავიდან ბრინკად გადააქციოს: ,,შენა, თეიმურაზ, კნიაზი კი არა ხარ, ბრინკა ხარ, ბრინკა'', უმტკიცებს ჯაყო თეიმურაზს, ბრინკა ჯაყოს ,,ნათესავი იყო, - დაყრდომილი, გინჯი, საბრალო და ყველაფერით უბადრუკი'' (4, 292). ჯაყოს სატანური ენერგია, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის პირიფნული ლირსების განადგურებისკენაა მიმართული, როგორც ფიზიკური, ისე - მორალური და სულიერი თვალსაზრისით. თავით-ფეხებამდე ქონში ამოყლეპილი და ზეთით გამოხილი ჯაყოს მუდმივად მკრალი სუნი ასდის: ,,ისე იყო აყრილებული, რომ მისი სუნი, - როცა ჯაყო თეიმურაზის სახლში შეფოდა ხოლმე, - სამი დღე მაინც სტრიალებდა იმ ოთახებში და ის სუნი, ის თავბრუდამხვევი სიმყრალე ეხლაც თან დაჰქონდა გამდიდრებულ ჯაყოს''(4,364). სიმყრალე, ამ შემთხვევაში, მეტაფორის რეალიზაციაა გახლავთ, სადაც ფიგურალური სიმყრალე ფიზიკურ სიმყრალეს ერთვის და სატანის უწმინდურ სულზე მიგვანიშნებს. თუ ,,ეშმაკს ძალუძს მოგვევლინოს ნებისმიერი ფორმითა და ნებისმიერი ჩაცმულობით'', ანუ, თუ ,,მისი მანიფ-

�cyla "შესაძლებელია ნებისმიერი იერ-სახით, რაც კი არსებობს სამყაროში" (II,35), პაპინ სრულიად გასაგებია ჯაყოს ე.წ. ფერისცვალების ეპიზოდიც, სადაც ჯაყო, ვარდასახვის მეშვეობით, ცდილობს დაუბრუნოს თავისი ჭეშმარიტი სახე: მან თავი დაიბანა, კბილები გაიწმინდა, ყურები გაიოიჭიქნა, წვერი გაპარსა, მერანალი ეჯლიანის ნაცვლად სოხუმური პაპიროსი გააბოლა, ახალი საცვლები და ახალუხი შეიცვინა, წერა-კითხვის სწავლაც მოისწრო. მაგრამ, ტრანსფორმაცია მოსვენებითია, რეალურად არაფერი შეცვლილა. „ბანჯგვლიანი დათვი პირველპარსულ მაიმუნს დაემსგავსა".

ვფიქრობთ, აქ უფრო "შორსმიმავალი დასკვნაც შეიძლება გამოვიტანოთ: თუ ჯაყოს ტრანსფორმაცია მოსვენებითი და ეჯლიანია, ფალსიფიცირებულია დროის ტრანსფორმაციაც, რომელსაც ჯაყო წარმოადგენს. ობიექტური დრო მოკლებულია ფიზიკურად ტრანსფორმირების უნარს და მოვლენათა რაოდენობრივ სიმრავლეს წარმოადგენს: „დღეს მე გარეთ ვარ, ხვალ ოქვენ წაგარეთ ვარ"(4,423), გაპეტრის თავის გუშინდელ მეხოტბეთაგან უარყოფილი ჯაყო. - „დღეს მე გარეთ ვარ, ხვალ კი თქვენი ჯერი დადგება"(4,424), „დაგაცალე ჯაყოსა! ჩემი დროც მოხვალ"(4,426). იქადნის იგი. ეს კეისრის საფყარია, საფყარო, სადაც საათის დრო მოქმედებს და ერთი მიმართულებით მიაქანებს მოვლენებსა თუ ადამიანებს: ცვალებადობა აქ მხოლოდ პირობითია, ცვალებადობა დროის არსს არ ცვლის.

ამდაგვარ დროსთან თეიმურაზის მიმართება ძალზედ რთულია: ხეფისთავი ჯერ ბავშვის ეინიანობით, შემდგომ კი მოწიფულის დარწმუნებით ებრძვის დროს, რომლითაც თავად არის "უბორკილი. ბრძოლის ცნება მოძრაობის რელევანტური ცნებაა.

* * *

„დრო არ არის მოძრაობა, თუმცა მოძრაობის გარეშე იგი არ არსებობს". ბრძანებდა არისტოტელე და მოძრაობის ოდენალურ მოდელად წრიული მოძრაობას მიიჩნევდა - ერთსახოვანსა და მუდმივს.

მაგრამ, რამდენად წარმოაჩენდა წრიული მოძრაობა დროის და - პირიქით? იყო კი ანტიკური თეორია უნივერსალური, რომელიც არ ექვემდებარებოდა აპელაციას?

ქრისტიანულმა მოძღვრებამ ვადაჭრით უარყო იგი. რეალური დროის საზომად მიჩნეულმა უსასრულო, წრიულმა მოძრაობამ ქრისტიანულ აზროვნებაში ამსურდული კონტექსტი "შეიძინა და ამის ერთერთ ვენიალურ დადასტურებად ავასფერის მითი მოგვეცლინა. სიუჟეტი ასეთია:

„მაცხოვარი, მიემართებოდა რა გოლგოთასაკენ, სულის მოსათქმელად ავასფერის სახლთან "შეჩერდა. მაგრამ ეს უკანასკნელი უხეშად მოექცა მას და არ მისცა ნება, მიახლოვებოდა მის საცხოვრებელს. „მე დავრჩები და შევისვენებ, - თქვა იესომ, - შენ კი წახვალ". მარადიულ ავასფერი მცას გაუდგა გზას და მას "შეხვდა ალარ ვაჩერებულა" (6,676) თავისი "ეფოდების გამო ავასფერი მოკლებულია სიკვდილის პრივილეგიას და ვიდრე მეორედ მოსვლამდე, განწირულია სამუდამო ხეტიალისთვის. ავასფერი მითოლოგიური სასჯელის მატარებელი პერსონაჟია. მისი უკვდავება კი - შეჩვენებაა. წესელა. ეზრა. გამანადგურებელი ეროვნულობისაგან მოგვრილი ტანჯვა. როგორც არ უნდა იხეტიალოს ავასფერმა, იგი ვერ "შეცვლის საკუთარ ხვედრს, სწორედ ამიტომ, ზოგიერთი ვერსიის თანახმად, ფეხშიშველი და წვერმოშვებული ავასფერი ვამუდმებით გარს უვლის სვეტს და სვამს კითხვას: „ხომ არ მოდის კაცი, რომელიც ჯვარს ეზიდება?"

დავუბრუნდეთ თეიმურაზ ხეფისთავს. ხეფისთავი ინდათან, ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ

უახლოვდება ავასფერის მითოლოგიურ არქეტიპს. ცხოვრებისაგან გარიყულმა და ვაჟიულობამ „ნათავადარმა“ „ჯერ რაშდენიმე ხელი (ტანისამოსი) გაპარა, დანარჩენი გაფლეთა და მარცხენა ჯიბეები მარჯვნივ მოაქცია; შერმე, საყელოების გახმება რომ გაძვირდა, ვაუხაშელს იკეთებდა. ბოლოს, საყელოები და ყელსაბამიც მოიშორა, ხალათი ჩაიცვა, ქამარი შეიოირტყა, წყრიც ვაუშვა და გაკოტრებულ მეწყრილმანე ურიას დაემსგავსა“ (4,262) „ურიას“ დამსგავსებულმა თეიმურაზ ხევისთავმა და ქეეანამ საბოლოოდ ბიყარეს ერიმანეთზე ვული. „ერიმანეთის ვული და სული ვერ შეუგუეს და ვერ მოახეედრეს. ორივენი თითქოს სხვადასხვა ენას ლაპარაკობდნენ, თითქო სხვადასხვა ქვეყნისა და ეამის სულითა და ხასიათით იყვნენ გაჟღენთილნი. ამიტომ იყო, რომ ერთის „ღვთის წყალობა“ მეორეს „ღვთის რისხვად“ ელანდებოდა, ხოლო მეორეს მადლი პირველს მატლად მიაჩნდა“ (4,263). ოპოზიცია ღვთის წყალობა-ღვთის რისხვა, მადლი-მატლი, ნათლად წარმოაჩენს რომანის კონცეპტუალურ ოპოზიციას თეიმურაზ ხევისთავი-ქეეანა, სადაც „ქეეანის“ მიერ ნაწყალობევი თავშესაფარი, ჯაყო ჯიკაშვილის „კარ-მიდამო (იგივე თეიმურაზისა - ი.რ.), თეიმურაზის აბსურდული ხეტიალის ათვლის წერტილად გვევლინება. თეიმურაზ ხევისთავმა „აბგაში რამდენიმე წიგნი და ოთხოდენი წყრილმანი ჩაილაგა“ (4,277) და ჯაყოსთან გადაბარგდა. აქ „ურიის“ მოტივი უდავოდ ავსება „აბგის“ მოტივით: ზურგზე აბგამოკიდებული, ურიას დამსგავსებული ხევისთავი ჯაყოს ხიზნობას ირჩევს - „ეეეო, რაც შეეწირე ჩვენს ხალხს რა მივიღე საპაგიერო? მათხოვრის აბგა და ჯ... ჯჯაყოს ხიზნობა“(4,311). მაგრამ, დროთა განმავლობაში, ასოციაციებს რა მდგომარეობის სიმძიმეს, დაბეზრებული და გალახული „ნაბატონევი“ ცდილობს, გაექცეს შექმნილ ვითარებას, როგორმე დააღწიოს თავი დროის ტოტალურ ტერორს, იმოვნიოს გამოსავალი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ინფანტილიზმის მორეულში ჩამირული პერსონაჟი ინსტინქტურად იწყებს ძიებას. გამოსავლის ძიების პროცესში ნათლად იკვეთება ხევისთავის თავს დატეხილი მითოლოგიური სასჯელის გარე და შიდა პროექცია. ხევისთავი იწყებს მოძრაობას, რათა გადარჩეს, მაგრამ მისი მოძრაობა ციკლურია, წრიული. მსგავსად არისტოტელეს ციური სხეულთა მოძრაობისა, ხევისთავის მოძრაობაც დროის რეალური კოორდინატების ალეკვატური მოვლენაა, რომელიც მუდმივად აბრუნებს პერსონაჟს მოძრაობის საწყის წერტილში. თეიმურაზი რეგულარულად დადის საშველის საძებნელად და მარშრუტი ასეთია: ნაშინდარი - გორი - ნაშინდარი, ნაშინდარი - ცხინვალი - ნაშინდარი, ნაშინდარი - ლეკანაშენი - გორი - ნაშინდარი, ნაშინდარი - უმისამართო სივრცე - ნაშინდარი. სადაც არ უნდა წაიღოს თეიმურაზი, იგი გარდაუვალად ბრუნდება ნაშინდარში, ჯაყოს ჭერქვეშ და გზადაგზა ამლიერებს „ურიის“ მოტივს: ურიობას ყაჭრობა ეპატება: - „ჯ... ყაჭრობა? ყაჭრობა სეში საქმეა. ძალიან კარგად მაქვს შ. შესწავლილი. ბანკში და კოოპერატივში ვმუშაობდი“ (4,335). აბგას ჯოხი და წყერი: „თეიმურაზი მობრუნდა და გზას გაუდგა. ზურგზე პატარა ბოხჩა ეკიდა და ხელში ჯოხი ეჭირა“(4,419), „რაშდენიმე თვის შემდეგ ოთხმოცი წლის მოხუცივით დაბერებული ხევისთავი იმავე ნაშინდარს მიადგა. ქალილით წასული მებრძოლი ერთგული ძალლივით უბრუნდებოდა ჯაყო ჯიკაშვილს. თავზე ქუდის ნაგლეჯი ეხურა. დაგლეჯილი ჩუსტებიდან ფეხის თითები უჩანდა და ტანზე დაკონკილი ინგლისური ფარაჯა ეცვა. წელში სამად მოხრილიყო, დაძსხვრეულ სხეულს ძლივს მოათრევდა და სქელ ჯოხს ყავარჯნად ხმარობდა. ოთხმოცდაოდე წლის

მოხუცს თეორი წვერი ჩაზნექილ მკერდზე სცემდა"(4,427). აგასფერის სახე და მოტივი დასრულებულია: თეიმურაზ ხევისთავი, მსგავსად ვაქრული ნიქით დაჯილდოებული ურიისა ('ხოგიერთი ვერსიის თანახმად, აგასფერი იყო ვაჭარი), ბოხჩით ზურგზე და ჯოხით ხელში განუწყვეტლივ მოძრაობს ჯადოსნურ წრესავით შეკრულ აბსურდულ ტეხილზე. სადაც არ უნდა წავიდეს თეიმურაზი, ის მაინც ჯაყოს უბრუნდება. რატომ?

თეიმურაზი რადიკალურად განსხვავდება ეელური ჯაყოსაგან. „ოდი უმწეო ყვავილივით ნაზი და ლამაზი იყო, ნატიფად ასხმული და ნაქანდაკები, მაგრამ გამხდარი და გაფერმეხილი, მხრებაყრილი და მკერდ-ნავარდნილი, ბეკი და მელოტი, გაფუფქული ქოთის მინამვარი, მწიგნობრობით დაღლილი, დაშრეტილი, გამოწურული და დამდნარი ნაკაცარი"(4,234). თეიმურაზი უსვეელესი ქართული გვარის ჩამომავალი ვახლდათ, სახელოვან წინაპართა მემკვიდრე. „თეიმურაზს მთელი ტფილისი იცნობდა: ზრდილი, პატიოსანი, დინჯი, ჭკვიანი და ენამჭევრი საზოგადო მოღვაწე იყო"(4,242). გამორჩეული ერუდიციის და ინტელექტის გამო მას „ცოცხალ ენციკლოპედიასაც" კი უწოდებდნენ. როგორც გარეგნული, ისე - ინტელექტუალური და მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით, თეიმურაზი ჯაყოს ანტიპოდია. მეტიც, თავისი ხაზგასმული სხეულის სიმჩატეთა და სიფერმკრთალით თეიმურაზი ფრესკული სიმსუბუქეთა და პაერიოვნებითაა აღბეჭდილი. მაშ, რა აკავშირებს თეიმურაზს მიწიერ, ფერხორცთან ჯაყოსთან? რად ვერ აღწევს თავს მის სძულველ საზოგადოებას?

თეიმურაზისა და ჯაყოს გარდაუვალი შეკავშირება დრო, დრო, რომელმაც ერთი დიქტატორად, ხოლო მეორე ტყვედ აქცია. ერის ძალაუფლება დაატეხა თავს. მეორეს კი აგასფერის წყევლა. დრომ გადაალაჭვა თეიმურაზი და ჯაყო და არა მხოლოდ ტემპორალური, არამედ სივრცული თვალსაზრისითაც ფქიდროდ დაამგრა საერთო ძირზე: თეიმურაზს და ჯაყოს საერთო აქვთ სახლ-კარი - ხევისთავეთა საგვარეულო ციხე-დარბაზი, კოშკი, საგანძური, რომელიც თეიმურაზს ეკუთვნოდა, მაგრამ ნაწილ-ნაწილ მითვისა ჯაყომ. საერთო აქვთ სოფელი ნაშინდარი, რომელიც უწინ ხევისთავთა მამულს წარმოადგენდა, ახლა კი ჯაყოს სამარეშოდაა ქცეული. საერთო აქვთ წრე, სოფელ ნაშინდარის მოსახლეობა, რომელიც ქმნის რომანის იდეურ-მხატვრულ ფონს, და ბოლოს, მათ პყავთ საყვარულის საერთო ობიექტი, ქალი, მარგარიტა ყაფლანიშვილი ხევისთავისა, რომელიც თეიმურაზ ხევისთავის ცოლიდან ჯაყო ჯიგაშვილის ჯერ ხარჭად, შემდეგ კი ცოლად გარდაიქცა. თუ ამას დაეუმატებთ ჯაყოსა და მარგოს ვაჟს, პატარა ჯაყოს ხევისთავთა გვარზე დაწერის მცდელობას, სახეზე გვექნება სრული პერსონალური დეტერმინაცია: ჯაყო ჯიგაშვილი-ხევისთავი, ლოტმანი წერდა: „პერსონაჟები, რომელთა სივრცული ველი გარკვეულ დონეზე ემთხვევა ერთმანეთს, გვაკვლინებენ ინვარიანტულობის მაღალ დონეზე ჩამოყალიბებულ ვარიანტებად"(8,391). ეოველივე ამას უკანასკნელად მივყავართ დასკვნამდე: თეიმურაზ ხევისთავისა და ჯაყო ჯიგაშვილის პერსონაჟები წარმოადგენენ რომანის ცენტრალურ ბინარულ წყვილს, საერთო ძირზე ხელოვნურად დამაგრებულ ორეულს, რომელთა შორის არსებული წინააღმდეგობრივი ურთიერთობა თვალნათლივ წარმოაჩენს რომანის მსოფლმხედველობრივ ასპექტებს. ორეულებს შორის დამოკიდებულება სინთა დიმერგემ თამაშს შეადარა: „ნებისმიერი სახის თამაში თავისი განსაზღვრული წესებია და რიგრეულებთ, აგრეთვე, ერთმანეთთან დაჯრიანირებული პარტნიორებით სათანადო მეტაფორაა სხე-

�aluri urTierTobebisaTvis, romelnac orivulebs Sorisis warmoiqmneba. . . motaxisaSuebs Sorisis konfliqti, taxtis dinamika warmoadgens yovlis uwyvet brZolas, warmarTulsaTvis iS ZalebisaTvis, romlebsac „me“-s dapirdapirebas esWrebodnen“(9.282-283). „xayos xis xnebis“ saberZnosWiro orivulis erTi naxevari, xayo, gaaaqtiurebiT cdilobs meoreT naxevris TeimurazisaTvis daTiaxvra, dapyrobas, SiaNTiqiTa, TeimurazisaTvis an unda dangebdes mas, anac - yiTis xsnis gza, gza, romelsac gadaarCens mis pirovnebas, mis meobas, mis suls.

SeuRrZnobs rac avasfuris xvedris absurduloba, TeimurazisaTvis kvlavac uflobeli droTa uxaxebs pirisapir: „mxolodac xayo iyo axlad SobiliT axali xuris adamiani, mxolodac mas aqonda droTa SesaZuri kunTebi, basri klanWebi da folladis kbilebi. xayoebi am klanWebiT da kbilebiT uflebur qaqaflebs dapyrobenen. aRdgiraWyvetil mxecs daimorCilebenen“(4.337). TeimurazTma kiT, „RmerTo didebulo! ZliaRo RmerTo! es rac rasxva daatexe TeimurazTs? rac SeeCoda kraxuyoT uTanko da mtrfedayoT uCoxdaRlma TeimurazTma isaTi rac SeunduobaRa, rom iqis klaWa kisers xe aseTi didi Wisqvilis qva daatrialebs?! rogor gauflo TeimurazTis mileulma gulma aTodesac darCes da varaqs?! rogor unda aTxidos imisma uqalo da moqrfeklma xerxemalma esodenac moureveli tvirTi?! rogor unda gaZlevT imisma gaZvalebulma yeebma dauleveli, TeimurazTisaTvis gaugebari, mixvevul-moxvevuli da bnelia gzaraba dRevanderi cxovrebisa“ (4.358). obiqturi droiT gansaxlvrul realobasTan pirovnebis saberZnosWiro SeuRxebas alber kamiu „adamianis daxilisa da saqmaoTis xeulidan SemSlelia xiCumis SeuRxebaa“ uWoda da gansaxlvra, rogorac „gankeTebulebaa kacsa da xiocxlebs Sorisis, mxaxiobsa da dekoraciis Sorisis“(2.8). „SeiZleba gulWrfelad vaRiarebiT“, Werda kamiu. „rom arsebobs pirdapiri kavSiri am grZnobasa da arsebobisaken lteolvas Sorisis“(2.8). TavisaTvis vanebiT ekzistencialistebs da „xayos xixnebis“ teqsts miyurebulebi realobasTan adamianis SeuRxebis procesSi kidev erTi orivulia obaqa - meoreT TeimurazTxe. TeimurazTis saraxiSiani lanqa, aRrfilebi, misi alter ego, romelac aqtiurad erevna xvedsTaviTa da droTa uCinebadac gamWvavebul urTierTobaSi, anu, asrulebs erTgvari Suamavlis rolsac kacsa da misTvis gausaZlis, TunRac, gaugebari cxovrebas Sorisis.

orivulis aRmoCenebaa TeimurazTis naSinsdarSi gaRmosaxlebas uaxaWirebda aqrobas, romelsac TeimurazTis tfiqlobs uxilavadac TvaRlnaTlivi faqtad aRiqvamdes „xayos xixanis qaRaqidan axali iyuvebaa moiqvna, romelac SeuCinebelad da TanaTanobiT gaunaTiarda da gaufliarda: sakuTari TavTiTan saubari, mxeulobs, kamati da dava... - glexebi xmamaRla icinebdnen da moxunxobdnen. mavrad orivulTan bazaSi gaxnobiliT mWiqnobaris maTi siciliT da masxrobiT arc esmoda“(318). orivuli TeimurazTxe xvedsTaviTis pirovnebis SinaganiT dezorganizebis naTqami da obiqturi droiT qronotopia, eqsiriqa. TeimurazTis pirovnebaSi koordinebuli droiT koeficienTi maTiqvenebeli. orivulis gamoCena TeimurazTxe xvedsTaviTis droTasTan qidebis uaxresad mniSvnelovani komponenTia, mWurlis miur xelovnurad SeqmnilI tiqari, romelac cxadad gamoakvTos TeimurazTxe xvedsTaviTis SinaganiT konfliqtis, SinaganiT daTisa da merkvebis proeqciaS: „aki gaTxari.

შეჭამა და გამოიყვა მეოქი. ჩემი განკურნება ძნელია. თვალებზე - შავი ბინდი. გულში - ბევრი ნაღველი და სულშიც შავი — ბურუსი. ი. დღეგანდელი თეიმურაზ ხევისთა-ვ''(4,330). მოსთქვამს ერთი თეიმურაზი, ,,ოჰ, ღმერთო, დიდებულო! ნეტა როდის დამიბრუნდება სულიერი მშვიდობა და სიხარული?!!''(4,330). ოცნებობს მეორე. ,,ბევრე თქო. ზოგზე იტყვიან, აღსრულდაო, ზოგზე - განისვენაო, ზოგზე - მოკვდაო. ჩემზე კი იტყვიან ჩაძაღლდაო''(4,332). ბორგავს ერთი თეიმურაზი, ,,მაგრამ მე, თეიმურაზ ხევისთავი, ჯერ-ჯერობით სიკვდილს არ ვაპირებ! გესმის? მე არ მინდა მეთქი სიკვდილი!''(4,351). ვაპყვრის მეორე. ,,მაშ ღმერთმა აღღეგრძელოს ჩ. ჩჩემსავით დაბარცხებული გიყი, რომელმაც თვითონ ბ. . . ბვაითხარა საყლავი, აღღეგრძელოს და . . . ბვანუსვენოს''(4,351-52). ნებდება ერთი თეიმურაზი, ,,მე მომღუნეს. შეეძლება მოშტეხონ, მაგრამ ვერ. რრასოღეს ვერ დამეამორჩილებენ, ეე -ररრა-სოღეს, გესმის? ვერ-रर-ასოღეს მეოქი! როცა იქნება, მე ჩემს ნამღვილ სათქმელს ვიტყვი. ის დრო მოვა, მოვა მეთქი'' (4,351). იბრძვის მეორე. ინსტინქტური ძიებით შეპყრობილი ბერსონაჟიდან თეიმურაზ ხევისთავი ,,აკანკალებული ტკივის'' ფაზაში შედის. ჯანყისა და მორჩილების გზაგასაყარზე კი სიკვდილის ამრდილია ატუზული.

თეიმურაზის ემპირიკი ორეულისათვის თეიმურაზის ცხოვრება აღარ ღირს. მისი ყოველდღიურობა იმდენად უაზროა, რომ ტანჯვაც კი უსარგებლო ხდება: ,,აღარაფერი შერჩა ოდესღაც უდარდელ თეიმურაზს, არც ცოტაოდენი ქონება, არც ამოდენა ჯაფით ნაშოვნი სახელი, არც მამაპაპეული სახლ-კარი, აღარც ორიოდე დღით განახლებული სული, აღარც ოდესღაც ერთგული ცოლი და აღარც ხალხის პატივი - აღარაფერი. აღარაფერი!''(4,389). ,,ეყოფა თეიმურაზს გოლგოთის ალმართი, ეყოფა! ეყოფა თეიმურაზს საამქვეყნო ურვა და ძდენვა, ეყოფ!''(4,390) გამოსავალი სიკვდილია. დროში ადამიანის არსებობის უეჭველი სასრული. უძველესი ცივილიზაციები ერეში, ხალხები ,,ყველანი დრომ შ. . . შეჭამა და მოინელა. ხოლო დროის წინაშე უკვლავ არაფერია. მასთან შედარებით ღმერთიც კი უძლურია'' (4,322). ჩასჩაბნებს თეიმურაზს მისი მიწას მაჯაქვილი ალტერ ეგო. სიკვდილი სამუდამოდ მოსწყვეტს თეიმურაზს ამქვეყნიურ ჯოჯოხეთს. თვითმკვლელობა იხსნის მას წამებისაგან. მაშ, რაღად ებღაუჭება კლდის პატარა შვერილს წყლის მორევში გადამხტარი ხევისთავი? რაღად უხმობს საშველად გამვლელებს? რად იბრძვის სიცოცხლისათვის? სიკვდილი ჯალათია, რომელიც ბედნიერად ალსრულებს დროის განაჩენს. თუკი თვითმკვლელი ემპირიკი გადასასლავს, თეიმურაზს უკვალოდ გაქრობა ელოდება. გაუჩინარება, მოსპობა. მაგრამ, თუ დაუსხლტება სიკვდილს კლანჭებიდან, კვლავ ბედნიერ გადარჩენის სუსტი იმედი. სიკვდილი ზღვარია. ზღვარი, რომელიც რეალურ დროს ხდის გასაგებს. ზედროულ მარადისობას - შესაძლებელს. თეიმურაზი უნდა გადარჩეს. ეს თეიმურაზის ღირებული ორეულია. თეიმურაზის წინააღმდეგ ხასხლით გაჯერებული ნახევარი, რომელიც ეჯახება რა ანარსანარ სიკვდილს, გაუბედავად, მაგრამ მაინც იწყებს ფიქრს უკვლავებაზე. იქნებ ბრინკადან ისევ თეიმურაზად იქცეს. ნაკაცარიდან - კაცად, ხატად ღვთისა. პატივაყრილი თეიმურაზის სულში თუმცა ნელ-ნელა, ეტაპ-ეტაპ, მაგრამ მაინც იფრქვევა უცხო სურნელი: ,,ვანიკვეს საპოსელი ჩემი და კვარიისა ზედა იყარეს წილი'' (4,373). პროგრესი უაღრესად საცნაურია: თეიმურაზი არა მხოლოდ ნათლად იაზრებს თავის გაუცხოებას გარემოსთან - ,,მე, ეპიგრანტი ვარ, - გაიფიქრა. - ეპიგრანტს ჩემსავე ქვეყანაში, უცხოელი ჩემსავე მოსმენია შორის''

(4,375). არაბულ - ვრცლობს, როგორ „მოსწყდა ცოლდოლ ქალაქსა და მისწყდა ხელოვერ ბაბის, რომელსაც კარგა ხანს ეძებდა და მოუწოდებდა“ (4,374). უცლის სიტყვა ნაგვეშ სულს უაშებს თეიმურაზს, ორეული დედაკაცის ოვაყით შეერული ხეკისთავი სალოცარ შეკებას გრძნობს. ეს შკება სინანულია, სინანული და სკვლა, რომელიც ბაღლა, ხელისაკენ ეწევა მას, ვაუთავებლიკ მოწუწუნე ეპირიკს კი ქვეკით, მიწაზე ტოვებს: „ვერ ავიწიე მიწიდან. წიგნმა მოიტაცა რწმენის სული და მეცნიერებამ დაბნეტა უფლისადმდე ასაცრენი ფრთები“ (4,348). ცოდნა და რწმენა იერეებიან, პოლიტიკის, ისტორიის, ფიზიკასა თუ ავრონომიის წიგნებიდან შეკრებილი ცოდნა უნებლიეკ ემიჯნება ღვთისაგან გარდამოსული რწმენის სიმშვიდეს. მზე იხედება „უმზეო ყვავილის“ — თეიმურაზის სულში, იკვეთება ხსნის ვზა, თუმცა სოკრატეს მოწოდება „შეიცან თავი შენ!“ ადვილად შესრულებადი არაა გათრებული ხეკისთავისთვის. თეიმურაზის შინაგანი კონფლიქტი, ბრძოლა ორეულებს შორის გადაშწყვეტ ფაზაში შედის და ეშმაკისაგან მაცხოვრის ცდუნების მცდელობის სახარებისეულ ეპიზოდს მოგვაგონებს: თუ ერთი თეიმურაზი სინანულის ვზას შეუდგება, მეორე დაუფარავად ანთხვს შხამსა და გესლს. თუ ერთ თეიმურაზს უსაზღვროდ უყვარს მარგო და მისი „სულიერი ქმრის“, „სულიერი ძმის“ ტვრთს კისრულობს, მეორეს სძულს და ეზიზღება მოღალატე ქალიცა და მისი ქალაქუნა ქმარიც, თუ ერთი რწმენას დაეძებს, მეორე „ჯაყოსავით გაძლიერებას“ ლამობს, თუ ერთი თეიმურაზი უცლის სიტყვას შეიმეცნებს, მეორე დროის შესაცერ ათ მცნებას თხზავს. ვინ დარჩება გამარჯვებული? დროის ობიექტური მაჩვენებლებით შებორკილი, ცოდნის ჭეთ შეღრღნილი და სულიერად დაწყლულებული თეიმურაზი, თუ — რწმენაძიებული, სანანულით ალვსილი, თვითშეცნების ზღვართან მიახლებული ხეკისთავი?

ამ თვალსაზრისით, ყურადრეობა, რომანის კულმინაციურ სცენას წარმოადგენს თეიმურაზის მიერ „ძმის“ ტვირთის ქვეშ ორად მოხრილი“ მარვოსაოვის ტვირთის ჩამორთმევისა და საკუთარ ზურგზე გადმოდების ეპიზოდი. ეს თეიმურაზის შკებაა, მისი ჩეში სიხარული, შეცნობილი ბედნიერება, რომლის წინაშეც უძლურია დრო და, ე.ი., უძლურია ჯაყო, უძლურია ყოველივე ემპირიული, რეალური, ობიექტური. თეიმურაზი ალარ არის „რწმენით უკიდურესი რადიკალი და ხალხისანი“ საზოგადო მოღვაწე. ის ახლა დროის სხვა განზომილებისაკენ გადანაცვლებული ფიქრიანი პერსონაჟია, პერსონაჟი, რომელიც გააქტიურებული შინაგანი ტემპორალური ენერგიის მეშვეობით შეგნებულად ვადაადგილდება რეალური დროის ალტერნატიული ტემპორალური ზონისაკენ. თეიმურაზის ცხოვრების მიზნად უდაოდ ქცეულა მოლოდინი: მარგოს მოლოდინი, მონანიების მოლოდინი, განწმენდის მოლოდინი, ღვთის მოლოდინი, რაც მარადისობასთან მისი ზიარების უექველ წინაპირობას წარმოადგენს. მარადიული ზეკრიოულობა თეიმურაზის თავისუფლებაა, თავისუფლება, რომლისკენაც შინაგანი მოიძღოცველობის გზით უნდა წავიდეს ხეკისთავი, „მეტანიით, სასოებით და ცრემლით“ (4,444).

თეიმურაზის დამეული ლოცვები გეთსიმანიის იდუმალ ბაღეებს მოგვაგონებს და, თუ რომანის ფანრის უმთავრეს ღირსებად მხატვრულ ტრანსფორმაციას მივიჩნევთ, „ჯაყოს ხიზნების“ დასკვნითი აბზაცი როგორც პერსონაჟის, ისე - რომანის ტემპორალური პარადიგმის უკიდურესი ფერისცვალების დასტურია:

„კვლავ გარეთ გაიხედავს ნუგეშისცემული თეიმურაზი.

ისევ ასვეტილა ბნელ სიფრცეში ბნელი

კიშკი.

ამ კოშკიდან კვლავ მოსჩანს იმედის სანთელი.

ისევ მობრუნდება თეიმურაზ ხევისთავი და გულშეებით გადიმეებს:

აღარსად სჩანან ძაღლის მძორები.

აღარც ბალი სუნი მოსდის იმედნაკრავ ნაკაცარს.

ისევ ელის ნაქმრეკი ნაცოლარს.

ისევ დაყუდებული შიო მღვიმელიკვით იყლის თეიმურაზ ხევისთავი" (4,444).

შიო მღვიმელის სახება, როგორც ფრესკისა, ზედროულის, დროული უსაზღვროების, მარადისობის ანალოგია. ზ. კიკნაძის მიხედვით, „მღვიმე, უფრო ორმო, ვერტიკალური ქვაბული, სადაც შიომ უძრავად ყოფნა არჩია, იმ სვეტის ანტიპოდია, რომელიც სიმეონმა აქცია თავის სამყოფელად. უფრო მეტიც: ეს შვეული მღვიმე მისთვის იაკობის კიბეა, რომელმაც ცვი ზეცის სასუფევლამდე უნდა აიყვანოს. ხოლო მისმა სიბნელემ დაუღაბებელ სინათლემდე . . მღვიმე, ყოველი ღრმული - მიწის სიდუმლოთა გამოხატულებაა და, ყოველივე, რაც მიწაში ხდება, თვალისათვის მიუწვდომელია. ადამიანი ჯერ ხედავს, როგორ კვდება და იხრწნება თესლი, და ამ კვლომასა და ხრწნილებაში, მის სიცოცხლეებაში, როგორ იბადება ახალი სიცოცხლე შიო ნადის სიღრმეში, ის ითესება როგორც თესლი, რომელმაც (ფიზიკურმა სხეულმა) სულიერი ნაყოფი უნდა გამოიღოს" (3,178-179).

ითესება თეიმურაზიც, ითესება, რათა გაბრწყინდეს:

„შაბათი რომ დაღამდება,

კვირა გათენდება-ა . ." (4,376),

მღერის თეიმურაზი.

კვირა უფლის ბრწყინვალე აღდგომის დღე და დროზე გამარჯვების უეჭველი დასტურია: „ადამიანის გზა ვადის ტანჯვაზე, ჯვარსა და სიკვდილზე. მაგრამ მიემართება აღდგომისაკენ. აღდგომა მოახწავებს დროზე გამარჯვებას" (7,51). მარადიული შშვიდობას ომის შემდეგ, უსაზღვროებას, რომელშიც „აღარ იქნება დრო!"

* * *

მა'მ, რა არის „აწ"? და რა არის „მერმე"? სად არის „აწ" და სად არის „მერმე"? კონცეპტუალური ოპოზიცია „აწ-აქ"/„მერმე-იქ" წარმოაჩენს არა მხოლოდ სამყაროს გააზრების კოსმოლოგიურ მოდელს, არამედ - ადამიანის ადგილსა და ფუნქციას ამ მოდელში. თუ ელინელი ბრძენებისათვის „აწ-აქ" შემოსაზღვრულობა რეალურად მყოფი დროის იდენტური ცნება იყო, „მერმე-იქ" კი - მარადისობისა, ქრისტიანულმა აზროვნებამ ესქატოლოგიური სიღრმე შესძინა პრობლემას და ერთგვარი კატეგორიულობით განსაზღვრა იგი: დროის ხუნდებით შებორკილი კაცობრიობის სამყარო სასრულია. ზედროული მარადისობით გაბრწყინებული უფლის სამყარო უსასრულო: „ამიტომ არ ვცხრებით, მაგრამ თუ გარეგნული კაცი იხრწნება ჩვენში, შინაგანი ახლდება დღითი დღე. ვინაიდან ჩვენი მსუბუქი და ხანმოკლე ტანჯვა დიდ და მოძეტებული საუკუნო დიდებას ქმნის ჩვენთვის, როცა ვუცქერებთ არა ხილულს, არამედ უხილავს, ვინაიდან ხილული დროებითია, ხოლო უხილავი - საუკუნო" (II 2კორინთ. 4:16-18). „ხოლო უფალი სული არის, და სადაც უფლის სულია, იქ თავისუფლებაა. ჩვენ კი ყველანი ახდილი სახით ვხედავთ უფლის დიდებას როგორც სარკეში და ვარდავსახებით ამავე სახედ დიდებიდან დიდებაში, როგორც უფლის სულისაგან" (II 2კორ. თან. 3:17-18). ვარდასახვაა ადამიანის მოწოდება, ვარდაქმნა, რომლის გზაც უეჭველად სიკვდილზე ძევს. სიკვდილი საბედისწერო ზღვარია დროსა და ზედროულობას შორის, ტყვეობასა და თავისუფლებას შორის, შეუმეცნებლობასა

და თვითშემეცნებას შორის: „ხოლო როცა ეს ხრწნადი უხრწნელობით შეიმოსება და ეს მოკვდავი უკვდავებით შეიმოსება, მაშინ ახდება დაწერილი სიტყვა: სიკვდილი შთანთქა გამარჯვებით" (I. Kორ.15.54).

სიკვდილ'ზე გამარჯვება რწმენითაა შესაძლებელი. რწმენა აძარცხებს სიკვდილს და მასთან ერთად - დროს. რწმენის იმედით ვტოკებთ თეიმურაზ ხეკისთავს, ვინაიდან ამ იმედით ტოკებს მას მ. ჯავახიშვილი. შოგიანებით, ქ. ჯავახიშვილი დაწერს: „ასეთია მძაფრი სიხარული განიცადა მან (მ. ჯავახიშვილმა - ი.რ.) „ჯაფოს ხი'ხნების" დასრულებისას. ეს მისი ერთ-ერთი საყვარელი ნაწარმოები იყო. ეს, რას იგონებს ამის შესახებ თვითონ მწერალი: „ადვილი გასაგებია, რას უნდა გრძნობდეს ადამიანი, როცა დიდ საქმეს ამთავრებს და როცა თვითონვე გრძნობს, რომ მისი ნახელავი ხელოვანი რაღაც გამოვიდა. უკანასკნელი წერტილის დასმა მონის უღლის დამსხვრევას ვგავს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ შემოქმედი ამ უღელს ერთგვარი სიამით და სიხალისით ამათრევს . . . უცნაურია: ყველაზე მეტი დავა „ჯაფოს ხი'ხნებმა" გამოიწვია, მაგრამ ყველა'ზე მეტი სიხარულიც ამ რომანის დასრულებამ მაგრძნობინა. იმ დღეს ნამდვილი ბალღად გადავიქეცი, რომელსაც გაუძლისი ბედნიერება დაატყდა. ველარც მე ვცნობდი ჩემს თავს და ველარც ჩემი ცოლ-შვილი მცნობდა". (5.150)

ჩვენ არ შეგვიდგებით ბედნიერების ცნების ანალი'ზს. მსგავსი ძიება არ შედის წინამდებარე წერილის ინტერესებში. აღვნიშნავთ მხოლოდ ერთ გარემოებას: თუ „ჯაფოს ხი'ხნების" დასრულებამ ბედნიერება მიანიჭა მწერალს, მისი საწინდარი უეჭველად იყო რწმენისა და თავისუფლების გამარჯვების იმედი.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. ახალი აღთქმა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და ფსალმუნი, მესამე გამოცემა,1990.
2. ა. კამიუ. სიზიფეს მითი, თბ., „ლიმონი", 1996.
3. ზ. კიკნაძე. საშსახეობა ასკე'ზისა, სვანი II, თბ., 2001.
4. მ. ჯავახიშვილი, ჯაფოს ხი'ხნები, თხ'ზ. ტ. II, თბ., 1959.
5. ქ. ჯავახიშვილი. მიხეილ ჯავახიშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ.,1984.
6. Ф. Батюшков. Вечный Жид. Энциклопедический словарь Брокгауза и Ефрона, т.14, СПБ., 1892.
7. Н.Бердяев. Царство Духа и Царство Кесаря., М., 1995.
8. Ю.М.Лотман. О метаязыке типологических описаний культуры. Избр. статьи., М., 1982.
9. S. Domergue, Vladimir Nabokov: Mixed Doubles, Canadian-American Slavic Studies, Fall1985, Vol.19, No.3.
10. V. Nabokov, Lectures on Literature, ed. Fredson Bowers, New York,1980.
11. M. Rudwin, The Devil in Legend and Literature, La Salle, Ilinois 1913.